საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

კულტურის კვლევები

(თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)

პროგრამის ხელმძღვანელი:

ლელა ფირალიშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

თსსა ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა რესტავრაციის, ხელოვნების სიტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021წლის 29.11.2021, სხდომის ოქმი №19

თსსა აკადემიური საბჭოს 2022 წლის 22 თებერვლის სხდომის ოქმი №42

სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

ინფორმაციული ცივილიზაციის ერამ მეცნიერება ახალი პარადიგმატული ჩარჩოების მონიშვნის საჭიროების წინაშე დააყენა. უახლესი ეპოქის კულტურის რეჟიმი, გლობალური კულტურული პროცესები ინფორმაციული კულტურის პარადიგმაში მოექცა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ეპოქას საინფორმაციო რაციონალიზმის ეპოქას უწოდებენ (იურგენ ჰაბერმასი) და მას განიხილავენ, როგორც ინფორმაციული ექსტაზის მდგომარეობას (ჟან ბოდრიარი), აშკარა ხდება, რომ ადამიანი საინფორმაციო სივრცის მოქალაქედ იქცა (ჟ. ბოდრიარი). კულტურის ახლებურ რეჟიმს, რომელსაც პირობითად, ინფორმაციულ ცივილიზაციას უწოდებენ, დღეს დიდწილად ვიზუალური ინფორმაცია ქმნის. თანამედროვე საინფორმაციო სივრცე, პირველ რიგში, ვიზუალურ ნიშანთა სისტემით, საკომუნიკაციო და მედიალური ტექნოლოგიებით არის შექმნილი და ნიშან - სიმბოლოებით ავლენს თავს. ვიზუალური სიმბოლო წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს ერთგვარ ანბანს, რომლის მეშვეობითაც ხდება უახლესი თანამედროვე სინამდვილის კონსტრუირება და რეკონსტრუირება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ადამიანის „ხელით“ მუდმივად კვლავწარმოებადი ინფორმაციული კულტურა უკუზემოქმედების ძალის მქონეა, რამდენადაც თანამედროვე ინფორმაციულ სივრცეში ტრანსლირებული ვიზულური ნიშანთა სისტემები და სურათ-ხატები თავად ახდენენ ცნობიერების „ახალი მოდელის“ კონსტრუირებას და აჩქარებენ ცნობიერების ტრანსფორმირების პროცესს. ისტორიის ეს გამოწვევა თანამედროვე „ტრანსფორმირებული“ ადამიანის თვითრეფლექსიის უპირობო ამოცანაა. მედიის მიერ კულტურის ახალი ველის შექმნა საყოველთაო მოვლენაა, ის მოქმედებს და ასტრუქტურირებს ადამიანის მოღვაწეობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ეს პროცესი ჩვენშიც ძალზე აქტიურად მიმდინარეობს და უცილობლად საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, გაანალიზებას; მასზე რეფლექსირება კი მოითხოვს ინტეგრირებულ სწავლებას და თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიების ცოდნასა და კვლევისას მათ ეფექტურად გამოყენებას. სწორედ ამაზეა ორიენტირებული სადოქტორო პროგრამა კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები).

ფართო სფერო (მიმართულება): 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Social Sciences, Journalism and Information

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

Social and Behavioural Sciences

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები

Sociology and Cultural Studies

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კულტურის კვლევების დოქტორი 0314.1.4

სწავლების ენა: ქართული

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 50 ECTS

სწავლის ხანგრძლივობა: – 3-5 კადემიური წელი

სადოქტორო პროგრამის მიზნები:

ვინაიდან თანამედროვე მედიასივრცე ღია და მრავალასპექტიანია, ხოლო მასში მოქმედი ვიზუალური ნიშანი მრავალშრიანი ფენომენია და მოიცავს არა მხოლოდ ესთეტიკურ ასპექტს, არამედ ანთროპოლოგიურ, სახელოვნებო, ფილოსოფიურ, ინფორმაციული კულტურის, სემიოტიკურ და სხვა ასპექტებსაც, ამდენად, თავად მედიასივრცის დავიზუალური ნიშნის კვლევა რამდენიმე მიმართულებით უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზანია:

კულტურის (მედიასივრცის ვიზუალურ ნიშანთა) მკვლევართა მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ოპერირებას როგოც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

უახლეს მედია-სივრცეებში თანამედროვე ვიზუალურ ნიშანთა სისტემის კვლევა და ანალიზი;

მედია სივრცეში ვიზუალური ნიშნების როლის განსაზღვრა და მისი ზემოქმედების მექანიზმების შესწავლა;

ნიშანთა სისტემების ისტორიული, ესთეტიკური, სოციო-კულტურული, სოციო-ფსიქოლოგიური, ვიზუალურ-სემიოტიკური ასპექტების კვლევა; მათი გაანალიზება ვიზაუალური ანთროპოლოგიის, თანამედროვე კულტურის ფილოსოფიის და შემოქმედების ფილოსოფიის კონტექსტში;

ახალი ცოდნის შექმნა, კვლევის ახალი სივრცის გახსნა ქართული მასალის საფუძველზე და მისი თავისებურებების გამოკვეთა ტრანსნაციონალურ მედიასივრცესთან მიმართებით;

ვიზუალური ხელოვნების, მედიის, ფილოსოფიის, კულტუროლოგიის, ანთროპოლოგიის და სემიოტიკის კვლევის მეთოდების დაუფლება და ინტეგრირებულად გამოყენება.

სწავლის შედეგები

<u>ცოდნა და გაცნობიერება:</u>

შედეგი 1
დოქტორანტი ფლობს სფეროს (თანამედროვე ინფორმაციული კულტურის თეორიების, ვიზუალურ ნიშანთა სისტემის და ინფორმაციული კულტურის სემიოტიკის) უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც საშუალებას აძლევს გააფართოოს, განაახლოს არსებული ცოდნის ფარგლები და შექმნას ახალი ცოდნა;
შედეგი 2.
დოქტორანტი ფლობს კულტურისა და მედიის კვლევის მეთოდების (მათ შორის მულტი და ინტერდისციპლინური მეთოდების) შესახებ საფუძვლიან ცოდნას და აცნობიერებს მათ მნიშვნელობასა და საჭიროებას მეცნიერების უახლესი

სტანდარდებით თანამედროვე ინფორმაციული კულტურის კვლევისას;

შედეგი 3.

დოქტორანტს ფლობს ცოდნას ვიზუალური კულტურის სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ;

შედეგი 4

დოქტორანტი აცნობიერებს თანამედროვე ინფორმაციული კულტურის საკვლევი პრობლემების მნიშვნელობას და შეიმუშავებს მათი გადაჭრის სამეცნიერო მიდგომებსა და მეთოდებს;

შედეგი 5

დოქტორანტი აცნობიერებს ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციის, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების მნიშვნელობას სფეროში ჩასატარებელი სამეცნიერო კვლევისათვის.

უნარი:

შედეგი 6

დოქტორანტს შეუძლია დარგში არსებული ცოდნის გააზრების, შეფასება-გადაფასებისა და აქვს დამოუკიდებლად ახალი კვლევითი მეთოდების, ან ახალი მიდგომების შემუშავების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნის უნარი;

შედეგი 7

დოქტორანტს შეუძლია ვიზუალური კულტურის სფეროს საკითხების გაანალიზება, მსჯელობა; ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციის, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება და ამ უნარების საფუძველზე მას შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება;

შედეგი 8.

დოქტორანტს შეუძლია თანამდეროვე ინფორმაციული კულტურის თეორიებზე დაყრდნობით მსოფლიო კონტექსტში გაიაზროს და გაანალიზოს ქართული მასალა.

შედეგი 9.

დოქტორანტს შეუძლია კვლევის შედეგების კოლეგებისა და საზოგადოებისთვის ნათლად და გარკვევით გადაცემა, სამეცნიერო ნაშრომის აკადმიური კეთილსინდისიერების პრინციპებით და საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით შერულება (მაგ. რეფერირებადი ჟურნალებისათვის).

შედეგი 10.

დოქტორანტს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

შედეგი 11.

დოქტორანტი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით წარმოებული მისი ორიგინალური კვლევის შედეგების საზოგადოებისათვის სარგებლიანობისა და თანამედროვე მედიასივრცეში მათი გამოყენების შესახებ.

შედეგი 12.

დოქტორანტს შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა; საკუთარი მოსაზრებებისა და ინოვაციური მიდგომების არგუმენტირებულად დაცვა და საკუთარი კვლევითი პროექტის/თემის განვითარებაზე ორინტირებული ვექტორების მონიშვნა.

<u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები:</u>

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგებში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს;
- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;
- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელთა) დასაბუთებული შუამდგომლობა; ხელმძღვანელთან შეთანხმებული უნდა იყოს საკვლევი თემის მიზანშეწონილობა და რელევანტურობა;
- პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება მომავალი სამეცნიერო პროექტის შედეგების წარდგენის საფუძველზე.
- აპლიკანტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე უნდა გააკეთოს საკუთარი სამეცნიერო პროექტის ვრცელი ზეპირი პრეზენტაცია (საილუსტრაციო მასალითურთ,

მაქსიმუმ 40 წთ.); პრეზენტაციის დროს კონკურსანტს მოეთხოვება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგინოს საკვლევად შერჩეული თემა, ძირითადი პრობლემატიკა, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზები და სავარაუდო კვლევის მეთოდები;

- აპლიკანტმა საბჭოს უნდა წარუდგინოს რეფერატი საკვლევ საკითხზე, არა ნაკლებ 15 გვერდისა (Sylfaen- 11/12).
- უცხო ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.
- პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველს შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ (გერმანულ ენაში: Goethe – Zertifikat B2, ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultrusminister და Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH; ინგლისურ ენაში: - CEFR B2, IELTS exam – 5, BEC exam and CELS exam – Vantage, Cambridge exam – FCE, Pritman ESOL Internationa l, TOEIC – 541, TOEFL: – 500 (paper - based), 173 (computer - based), 61 (internet - based); ფრანგულ ენაში - Diplome de Langue Francaise (DL) (AF), Diplome d'Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP). სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ბოლო სამი წლის განმავლობაში.
- ყველა სხვა შემთხვევაში პირი ვალდებულია ჩააბაროს თსსა–ს მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა;
- თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევების სფეროში, ასევე, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს სამაგისტრო განათლება შესაბამისი მიმართულებით, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები შესაბამის სფეროსა თუ მასში შემავალ ცალკეულ დარგებში.

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც აპლიკანტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით *www.art.edu.ge* აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდზე მისაღები პროცედურების დაწყებამდე ორი თვით ადრე.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა:

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა – *3-5 წელი.* საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება: "რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორის" აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

სადოქტოროპროგრამის სტრუქტურა, მოცულობა და სასწავლო გეგმა

III.1. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი

სასწავლო კომპონენტის მოცულობა ჯამში 50 ECTS-ია, საიდანაც სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები 45 ECTS-ია, ხოლო სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები - 5 ECTS.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (45 ECTS):

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს კულტურის კვლევების სფეროში დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო) - 15ECTS (5+5+5)
- სემინარი სპეციალობაში (სავალდებულო) - 20ECTS (10+10)
- ინტერდისციპლინური სემინარი (სავალდებულო, არჩევითი) - 10ECTS

	საფაკულტეტო სასწავლო კურსები	15 ECTS
1.	კულტურის კვლევის თანამედროვე მეთოდები	5 ECTS

2.	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5ECTS
3.	პროფესორის ასისტირება	5 ECTS

	სემინარები	30 ECTS
1.	სემინარი სპეციალობაში 1	10 ECTS

2.	სემინარი სპეციალობაში 2	10 ECTS
3.	ინტერდისციპლინური სემინარი	10 ECTS

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები:
სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა კულტურის კვლევების სხვადასხვა მიმართულებით მისთვის საინტერესო სფეროში გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

პროგრამაში არჩევითი ელემენტები წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსების სახით (5 ECTS):

	არჩევითი სასწავლო კურსები	ECTS
1	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	5 ECTS
2	შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა	5 ECTS
3	მედია კომუნიკაციები და ინფორმაციული ძალაუფლება	5 ECTS

კვლევითი კომპონენტი

კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

	კვლევითი კომპონენტი
1.	კოლოკვიუმი 1
2.	კოლოკვიუმი 2
3.	კვლევითი (საკვალიფიკაციო) ნაშრომის შესრულება და მისი დაცვა/საჯარო პრეზენტაცია

კოლოკვიუმი არ ფასდება ნიშნით, მაგრამ სავალდებულოა და დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს, კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები.

III.2.სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
		სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები	25	25				
1.	არ გააჩნია	კულტურის კვლევის თანამედროვე მეთოდები	5					
2.	არ გააჩნია	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5					
3.	არ გააჩნია	პროფესორის ასისტირება		5				

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
4.	არ გააჩნია	სემინარი სპეციალობაში 1	10					
5.	არ გააჩნია	სემინარი სპეციალობაში 2		10				
6.	არ გააჩნია	ინტერდისციპლინური სემინარი		10				
		სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები	5					
7.	არ გააჩნია	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	5					
8.	არ გააჩნია	შემოქმედებისფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა	5					
9.	არ გააჩნია	მედია კომუნიკაციები და ინფორმაციული ძალაუფლება	5					

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
		კვლევითი კომპონენტი						
1	არ გააჩნია	კოლოქვიუმი-1			!			
2	არ გააჩნია	კოლოქვიუმი-2				!		

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
3		დისერტაციის დასრულება და დაცვა						!
		სემესტრში სულ 50 ECTS	25	25				